# იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

შაბათი 12 ივლისი

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია: „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფარადავის თამბაქოს ქარხნის ჭარდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 103 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 103


ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## — „იმერეთი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | 3 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთიეთაზ ისზ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

---

ქვრივი მაია ჩაკვეტაძისა, მაკრინე ჩაკვეტაძისა; პელაგია და კოსტანტინე მიქაძენი; დარია თვალაძისა, მელანია, გიორგი და ამბაკო ჩაკვეტაძენი; პელაგია, ანა და ალექსანდრა ჩაკვეტაძენი; ნადია, ოლღა, მაშო და გიორგი ჩირაძენი; პელაგია, ელისაბედ და კოლია სალარაძენი; ტატიანა და ნინო მიქაძენი; თინა, თამარ, მარუსია, აკაკი და ალექსანდრე; ქსენია, ნეოლინე, პეტრე, შალვა, მიხეილ და შოთა ჩაკვეტაძენი; ბარბარე, მარო, აგრაფინა, სონა, ნესტორი, პავლე, ივანე და ილარიონი ჩაკვეტაძენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი შვილის, მეორენი ძმისა, მესამენი მაზლისა, მეოთხენი ბიძისა და მეხუთენი ბიძაშვილის

**კოსტანტინე პეტრეს ძის ჩაკვეტაძის**

გადაცვალებას. გამოსვენება დღეს, 12 ივლის, ნაშუადღევის 4 საათზე საკუთარი სახლიდან, დასაფლავება ხონის მაცხოვრის ეკლესიაზე.

---

## ქ უ თ ა ი ს ი
## პირველი კერძო სამკურნალო

ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი ე ქ ი მ ე ბ ი თ.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დ ი ლ ი თ.**

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ვ. პ. **მოსეშვილი** შინაგანი და ნევრების.

| | |
|---|---|
| ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა. | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის | 10—11 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე | 11—2 |
| მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| გ. ა. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | 12 1/2 2მ |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით | 4 1/2 – 5 1/2 |
| გ. ა. ჭოდოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | 5 1/2 6/ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606 – 914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

**სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოდოშვილი**

---

ექიმის ივ. ბოკერიას

## სააავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

---

## მ უ შ ა ო ბ ს

ხრესილის მადნეული წყლის

ძმ. ყორყოლაძეების

## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს** (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას** (მალარიას) **კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი**, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. **აბანო** მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“

---

## თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მადნეული წყლის

## აბანო,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ის ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯავანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს. გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯავანიძე.**

---

**ექიმი ა. მ. ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. **ქალის, ვენერიული** (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

---

**ექიმი მ. დ. ბეთანოვი** იღებს კანისა, **ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ** დილის 9–12 ს., საღამოს 5–8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

---

**ექიმი ი. ა. ცეხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5— 8 საათ.

---

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი** მ. ი. კაკაბეთოაშვილი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

---

ქ. ქუთაისში

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

## ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება. მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

---

**ექიმმა ი. ჩარექოვმა** შესწყვიტა ავათმყოფების მიღება ექვს აგვისტომდის.

---

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი გ. პ. **მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

---

## სამოსწავლო მთავრობის ნებართვით

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,

**მე-3 ხარისხ-ს მოსამზადებელ**

## სასწავლებელს

ორივე სქესის ბავშთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.

ნინო მათეს ასული **ხოჭოლავასი.**

---

## ქუთაისი.

ა ხ ა ლ ი ა მ ბ ა ვ ი.

მომავალ კვირაში შ. ამირეჯიბი წაიკითხავს ლექციას: „საქართველოს ეკონომიური განვითარება“.

✦ ახლო მომავალში ი. ბახტაძის რედაქტორობით ქუთაისში გამოვა ალმანახი „ქუთაისის საქმიანობა“ ალმანახში დიდი ალაგი ექნება დათმობილი წერილებს ქალაქის თვითმართველობაზე. ალმანახში დასაბეჭდი მასალებს მიიღებს ბიქტორ მახვილაძე.

✦ დღეს დ. ქიათურაში ელექტრო თეატრ „სიზმარში“ მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტთან არსებულ ქართ. სათვისტომოს ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოთ მგოსანი აკაკი წერეთლის მონაწილეობით მუსიკალურ-ვოკალური საღამო გაიმართება.

✦ 10 ივლისს წ. კ. გ. საზ. გამგეობის მორიგი სხდომა შესდგა. კრებაზე გასარჩევი იყო რამდენიმე საკითხი. სხვათა შორის, დაადგინეს, აღძრან გუბერნატორთან შუამდგომლობა, რათა ნება დართოს გახსნან ლულაძისეულ მოედანზე წიგნსაცავ-სამკითხველო ლადო ნაცრიშვილის პასუხისმგებლობით.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ უკვე გაუგზავნა ქ. ფოთის თვითმართველობას ნორმალური დასვენების სავალდებულო დადგენილება.

✦ 16 ივლის ქუთაისის ბაზარზე სოფლიდან ჩამოტანილი მჭადის ფქვილი 1 მანეთად და 6 შაურათ ფასობდა.

✦ 20 ივლისს სოფ. ხრესილში ადგილობრივ წიგნსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ წარმოდგენა გაიმართება.

✦ მარელისის საზოგადოებიდან გვატყობინებენ, რომ 27 მაისის სეტყვამ და დიდმა წვიმამ აქ ყველაფერი გაანადგურა. პურის ყანები გააფუჭა. სიმინდი მთლად წალეკა. და ალაგ-ალაგ ნიაღვარმა სადგომებიც კი წაიღო.

✦ სასოფლო გაზეთის კვირის ნუმერს უფასო დამატებათ გამოყვება ივ. გომართელის „თამბაქო და მაგარი სასმელები“ პატარა წიგნაკათ.

✦ 10 ივლისს ძველი თფილისის ქუჩაზე მედროგე ნიკოლოზ სინათაშვილის დახვდა პირველი საპოლიციო ნაწილის მთვრალი „გარადავოი“ მამედ კარბელაიოღლი. უკანასკნელმა მედროგეს სთხოვა დროგზე დაესვა, მაგრამ მედროგე ამას არ დათანხმდა. მაშინ „გარადავოიმ“ რევორველი ამოიღო და მედროგეს დაუშინა, მედროგემ გაქცევით თავს უშველა. ტყვიები მოხვდა შემთხვევით მომავალ მეორე მედროგის გიორგი ჩოგავაძის ცხენს მუცელში. ეს დაინახა მეორე საპოლიციო ნაწილის „გარადოვოიმ“ ბესარიონ იაკობაშვილმა და საშველათ მივარდა, იგიც ხელში დაიჭრა.

✦ წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობამ გუბერნატორს დასამტკიცებლათ გაუგზავნა 4 მაისის ქალაქის ბაღში შემოსავალ-გასავლის სია დასამტკიცეალათ. ამ სეირნობიდან სულ 2128 მანეთი და 43 კაპ. შემოსულა. დახარჯულა 490 მანეთი და 28 კაპ. დარჩენილა წმინდა შემოსავალი 1639 მანეთი და 3 შაური.

✦ გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას გაუგზავნა 1914 წლის დამატებითი ხარჯთაღრიცხვა, რომელიც გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა.

✦ 10 ივლისს კ. ცაგარლის ლექციას ქალაქის თეატრში ხალხი ცოტა დაესწრო.

✦ 20 ივლისს მსახიობ დ. ჩარკვიანის მონაწილეობით დ. სამტრედიაში წარმოდგენები გაიმართება.

✦ ამ დღეებში დ. ჭიათურაში შავიქვის გაზიდვა შემცირებულა.

✦ 10 ივლისს პეტერბურგის ბირჟაზე ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის გირავნობის ფურცლები 77 მანეთად და 75 1/2 კაპ. ფასობდა.

✦ მიტროფანე ლალიძემ ქალაქის გამგეობაში განცხადება შეიტანა, რომ ქალაქის პირობა ელექტრონული სადგურის მეპატრონეებთან ძლიერ მკაცრია. და, თუ ეს პირობები არ შეიცვალა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ელექტრონის ძალას აღარავის მივცემთო.

✦ ამას წინათ ქუთაისის გუბერნიის წინამძღოლმა თავ. დ. ო. ნიჟარაძემ მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტის გამგეობასთან შუამდგომლობა აღძრა, რათა ქუთაისიდან უკონკურსოთ მიეღოთ ოთხი [illegible] ბული ახალგაზდა: ტ. წერეთელი, გ. მხეიძე, აპ. კაკაბაძე და ვარლ. ლეშკაშელი. გუშინ დეპეში მოვიდა, რომ ხსენებული ახალგაზდები უკონკურსოთ არიან მიღებულიო.

✦ გუშინწინ, 10 ივლისს, დააპატიმრეს გაზეთ „აზრის“ რედაქტორ-გამომცემელი ალ. ცერცვაძისა გაზეთის 58-ე ნუმერში წერილის „ისტორიული დღის“ მოთავსებისთვის. მას სათავდებოთ 500 მ. მოსთხოვეს.

---

## თფილისი

**წესიერი დასვენება.** თფ. გუბერნატორს ახალციხის სავაჭრო დაწესებულებათა, საწყობთა და კანტორათა მოსამსახურეებმა საერთო თხოვნით მიმართეს. თხოვნაში აღნიშნვენ, რომ ახალციხეში, წინააღმდეგ კანონისა ვაჭრობა 12 საათის ნაცვლათ 15 საათს გრძელდებაო და დასასრულ გუბერნატორს სთხოვენ, აიძულოს სავაჭრო დაწესებულებათა მეპატრონენი, რომ დაიცვან სავალდებულო დადგენილებანი და დაწესებულებანი დაკეტონ არა უგვიანეს საღამოს 7 საათისა.

— **უცნაური განკარგულება.** ეს ერთი ხანია ვერაზე, წყნეთის ქუჩაზე ყოველ დილით აურზაურია. მაჭავარიანის სახლისა და წილკნის ქუჩის კუთხეში ერთი დაბალი პოლიციელი და მეეზოვენი დილის რვა საათამდი მეურმეებსა და „მეპოვოსკეებს“ არ უშვებენ ქვევით, წყნეთის ქუჩით, რადგანაც, როგორც ამბობენ, ხერხეულიძის სახლში ვინმე გენერალი ცხოვრობს, რომლისთვისაც ძილის დაფრთხობა არა სურთო. ამავ დროს ამ ქუჩაზე მუდამ დაიარება დილის ოთხი საათიდან უზარმაზარი საბარგო ავტომობილი. საჭიროა, ვილაცის ამ უცნაურს განკარგულებას ყურადღება მიექცეს და მეურმეები გაჭირვებიდან გამოყვანილ იქნან.

— **სოფლელთა გასაჭირი.** აგერ 15 წელიწადია, რაც პატარძეულის მახლობლათ დასახლდა 16 კომლი გლეხი, გვარად ქისტაურები, მათ ეჭირათ 22 დესეტინა სახაზინო მიწა და საიჯარო ფულს წელიწადში 102 მან. აძლევდენ. წელს

მიწა იჯარით აიღეს 103 მან. ორმა შეძლებულმა გლეხმა: პატარძეულის მამასახლისმა ელარდაშვილმა და ოთარაშვილმა. ახალი მოიჯარადრენი გლეხებს სთხოვენ წელიწადში 500 მან. ან მთელის მოსავლის ნახევარს. გასაჭირში ჩაცვივნული გლეხები თფილისში ჩამოვიდენ და უნდათ როგორმე თავი დააწიონ ახალ ბატონობენ.

— პროგიმნაზიის გადაკეთება გიმნაზიათ. როგორც ვსწერდით, ახალციხის ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა, რათა ახალციხის 4 კლასიანი სავაჟო პროგიმნაზია გადაკეთებულ იქნას სრულ გიმნაზიად. ეს შუამდგომლობა განიხილა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა და გამოარკვია, რომ იმ შემთხვევაში თუ პროგიმნაზია გიმნაზიად იქნება გადაკეთებული, ახალციხის ქალაქის თვითმართველობამ ყოველწლივ უნდა გაიღოს 20,000 მან. სასწავლებლის შესანახად. ამის გამო მზრუნველმა ახალციხის ქალაქის თვათმართველობას მისწერა, თუ გსურთ თქვენს შუამდგომლობას მსვლელობა მიეცეს, ახლავე დაადგინეთ, რომ მომავალ სასწავლებელს წელიწადში 20,000 მან. მისცეთო.

## სომეხთა ცხოვრება.

**დახმარება.** ეგვიპტეს სომხურმა საქველმოქმედო საზოგადოებამ სამი ათასი მანეთი გამოგზავნა ერევნის გუბერნიის დაზარალებულ სომხის გლეხთა დასახმარებლათ.

— **სომხური მუსიკა.** საერთაშორისო სამუსიკო კონგრესზე პარიზში არქიმან. კომიტასმა სამი საინტერესო მოხსენება წაიკითხა: 1) სომხურ ნოტების, 2) სომხურ სახალხო სიმღერებისა და 3) სომხურ ხალხურ მუსიკის რითმის შესახებ. დამსწრე პროფესორების სიტყვით, კომიტასის შრომის წყალობით გასაგები გახდა ბევრი აქამდის გაუგებარი თვისება ბერძნული მუსიკისა. კონგრესის თავჯდომარის თხოვნის თანახმად, მეორე დღეს შესრულებული იქნა წირვა სომხის მგალობელთა მონაწილეობით. პარიზის გაზეთებმა მეტად შეაქეს სომხური გალობა.

— **ექსკურსია.** ალმანახ „პატანის" (ყრმა) რედაქციამ წელსაც მოაწყო თავის თანამშრომლებისა და მკითხველების ექსკურსია ანის, ეჩმიაძინისა და ალექსანდროპოლის დასათვალიერებლათ.

— ოსმალეთის სომხეთის ვილაიეთების შესასწავლად სომხის სტუდენტების რამდენიმე ჯგუფი გაემგზავრა რუსეთიდან.

— სირანუიში. მსახიობი ქალი სარანუიში სტამბოლს დაბრუნდა, სადაც იმუშავებს მომავალ სეზონში.

## სამხიარულო შედეგი.

სასახელოდ დასრულდა სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კურსები ქუთაისში: მასწავლებლებს აევსოთ მოთმინების ფიალა და ბოლოს გაბედეს ხმის ამოღება; უკულმართისა და ბავშების გამოსათაყვანებელი მუნჯური მეთოდის წინააღმდეგ ბეჭდვითი სიტყვით 90 კაცმა პროტესტი გამოაცხადა, რომლითაც დაჰგმო, როგორც ეს მეთოდი, აგრეთვე მისი თაყვანის მცემლები ლეკტორები და მასწავლებლები; თავიანთი ანტიპედაგოგიური მოღვაწეობისთვის სამართლიანი დაფასება და შესაფერისი ჯილდო მიიღეს. სამხიარულოა ასეთი ფაქტი, რადგანაც აშკარად ამტკიცებს ჩვენი სოფლის მასწავლებელთა ცოტაოდენ შეგნებას და გამოფხიზლებას; მასწავლებლებმა შეატყვეს, რომ კურსები ამცდარი იყო სალ პედაგოგიურ მიზანს, აქ ძირი ეთხრებოდა 81 წლის სასწავლო გეგმას და უკივლეს ხალხის განათლების მტერმოყვრებს; ამათაც ეყოფათ სირცხვილად!..

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხო მასწავლებელი ქალის ქ-ნი გეგენავას ასულის საქციელს და იმისი თავის მართლებას; როდესაც სანიმუშო გაკვეთილი მიუცია ერთ კურსისტს სამშობლო ენის დახმარებით, გეგენავას ასულს განუცხადებია მეთვალყურესთან: „მე დიდ ნაკლულევანებად ვთვლი: რომ ამ გაკვეთილზე სამშობლო ენა იხმარესო". მასწავლებელმა ქალმა ამით, რასაკვირველია, ასიამოვნა თავის უფროსს და იმიტომ წარმოსთქვა საჯაროდ მუნჯური მეთოდისადმი თანაგრძნობა, მაგრამ შემდეგ, როდესაც ამხანაგებმა სამართლიანად დაგმეს იმისი საქციელი, მან დაიწყო თავის მართლება და ბოდიშები: „ამ სიტყვების წარმოთქმა между прочимъ მომივიდაო, თორემ მე მუნჯურ მეთოდს არ თანავუგრძნობო". ჩემის აზრით ასეთი თავის მართლება და ბოდიში ნაძალადევია და არც მისაღებია; მე მას ვერ გავამართლებ, რადგანაც შეცდომით შეიძლება ადამიანმა ერთი სიტყვა წამოისროლოს და არა მთელი აზრი და რამდენიმე წინადადება. თუ აქ უფროსების გულის მოსაგებათ წარმოსთქვა ასეთი სიბრძნე, იმავე უფროსების გულის მოსაგებლად ეცდება თავის სკოლაში მუნჯურ მეთოდს პატივი სცეს იქ ხომ ამხანაგები არ დაესწრებიან მას! ქ-ნი გეგენავას ასული სამართალში იწვევს ქ-ნ ბ—ძის ასულს, ალბათ ამით ფიქრობს ის, ცოტაოდენი ტალახი ჩამოირეცხოს, მაგრამ ამაოდ. ქ-ნი ბ—ძის ასული შესაფერ პასუხს აძლევს მას „იმერეთი"-ს 91-ი ნუმერში და უარსაც ეუბნება სამედიატორო სამართალში გასვლაზე. ვუცხადებ ჩემს თანაგრძნობას ქ-ნ ბ—ძის ასულს. გეგენავას ასულს კი მართებს გაჩუმება.

ლადო ბზვანელი.

## პირველდაწყებითი ორკლასიან სასწავლებელში კურსდასრულებულთა ბედი.

(განსაკუთრებით ჭიათურის და საჩხერის საბოქაულოში).

ვინ არ იცის ბედშავი მდგომარეობა დღევანდელი უკულტურო სოფლის გლეხისა, განსაკუთრებით ზემო-იმერეთში. ვერ ნახავ 20 პროც. გლეხკაცობისას თავის სახელი და გვარის მოწერა რომ შეეძლოს. თავისი უვიცობის გამო შვილის შკოლაში მიცემა ეზარება, რადგან მას (შკოლას) რაღაც ალმაცერათ უყურებს, გონია იგი მტერი და მისთვის მავნებელი.

თუ ვინმემ იძულებული გახადა და დიდი ვაივაგლახით ბავში მიაცემია შკოლაში, მეორე—მესამე წელიწადს ისევ გაიყვანს, და რომ მიზეზი კითხოს მასწავლებელმა გაყვანისა და შესაფერი დარიგება მისცეს, არაფრის გულისთვის შკოლაში არ მიეკარება მას. და თუ ვინმეს და რისამე წყალობით ეს არ ქნა და ბავშმა მიაღწია გასათავებელ განყოფილებამდი, ისე გაივლის 5—6 წელი რომ არ მივა მასწავლებელთან და არ გაიგებს თავისი შვილის ამბავს. ეს ნათლათ ამტკიცებს, თუ რამდენათ გულგრილათ ეტანება სწავლა-განათლებას ხალხი, განსაკუთრებით ზემო-იმერეთში.

დაასრულა ბავშმა ორკლასიანი სასწავლებლის კურსი როგორც იქნა და ვარდება საგონებელში, როგორც მშობელი, ისე შვილი. ახლა ბევრად თუ ცოტათ გრძნობს მშობელი რომ მისი შვილი შუა ხიდზე დგას და ვერ მოუხერხებია ვერც გავლა დარჩენილი მანძილის და ვერც უკან გამობრუნება, მას ჰირდება უსათუოდ ხიდის ბოლომდი მაინც გაყვანა, თორემ, შესაძლოა, ხიდი ჩატყდეს და ბავში წყალში ჩავარდეს და დაიღუპოს.

ჩვენი პირველდაწყებითი შკოლების მახლობლად საჯარო საქალაქო შკოლებია, გახსნილი 1872 წეს. ძალით, სადაც გაჭირვებულ გლეხკაცობას უფრო ეადვილება თავისი შვილების მიცემა უსაღსრობის გამო, ვიდრე რომელიმე სხვა სასწავლებლებში. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, იმ კაცს, რომელსაც გუშინ თვალის დასანახავათ ეზარებოდა შკოლა და დღეს რაღაცას გავლენის წყალობით მიყავს შვილი მომზადებული ეგზამენის დასაკავებლათ საქალაქო შკოლაში, ეუბნებიან გამოცდის შემდეგ: „ბავშმა ეგზამენი ვერ დაიჭირა და უარი გეყო". საწყალი გლეხი მოკიდებს შვილს ხელს და მოყავს სახლში.

ამ თქმით დიდი ზარალი მოაქვს სასწავლებლის საბჭოს ერთი მით, რომ ხალხი ალმაცრათ უყურებს შემდეგში სოფლის შკოლას, ვინაიდან იქ ვითომც ბავშები არაფერს არ სწავლობენ, რადგან არ მიიღეს მოუმზადებლობის გამო საქალაქო შკოლაში და მეორე ნიჭიერი ბავშები ასობით რჩებიან ცხოვრებას!

ამ ორი მაზარალებელი მდგომარეობის ასაცილებლათ მივაქცევ საქალაქო შკოლების სამოსწავლებლო საბჭოების ყურადღებას მას, რომ, რაც შეიძლება, მეტი ყურადღება მიაქციონ თავის სასწავლებლებში მეტი პარალელური განყოფილებების გახსნას და ამით საშუალება მისცენ საწყალ გლეხკაცობას, უფრო ფართოდ იქნეს ღია მათი შკოლის კარები სოფლის მოსწავლე ბავშთათვის.

საჭიროა, განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭომ, როგორც მქონემ საქალაქო შკოლისა ისეთ კუთხეებში, როგორიც არის ჭიათურის და საჩხერის რაიონი.

ჩიკ—ლა.

## პატარა ფელეტონი.

## ცრემლები ადამიანისა.

(ლეგენდა გაიოსი).

როდესაც ღმერთმა ექვსი დღის მუშაობის შემდეგ ყველაფერი მორთო, აღავსო ცარიელი ქვეყანა, როდესაც მან გააჩინა ყოველივე და მეექვსე დღეს გახარებული შეყურებდა მორთულ ქვეყანას, ის დაფიქრდა და ღრმა საგონებელს მიეცა. ის გრძნობდა რაღაც ნაკლს თავის ქმნილებაში და სწუხდა, სწუხდა უფალი და სწუხდა მთელი მსოფლიო... მთებს ზანზარი გაჰქონდა, ცხოველებს ყმუილი, მიწა ირყეოდა და ყველა ეს რაღაც საშინელებას წარმოადგენდა. ცახცახობდენ თვით ანგელოზნიც და უფალს შეყურებდენ; მათ ვერ გაეგოთ მიზეზი ამ საერთო უბედურებისა და ერთმანეთს გაკვირვებით შესცქეროდენ.—„ადამიანი მაკლია, ადამიანი"!—გაისმა მჭექარე და მგზნებარე ხმა შემოქმედისა. ყოველივე მიყუჩდა, მისწყდა თვით გამაღლებული ყმუილი ახლათ შექმნილი ნადირთა და სმენათ გადიქცა. იალბუზმა და ყაზბეგმა ერთხმათ გაიმეორეს უფლის სიტყვები, გადუძახეს სხვებს და ამრიგად სიტყვები შემოქმედისა ზარივით მიედო მთელ მსოფლიოს. გაიპ[illegible] ყველა ანგელოზი უფლის გარშემო შეიკრიბა, „ადამიანი მაკლია, მხოლოდ ადამიანი"! —ისევ გაიმეორა უფალმა და შეჩერდა. ის დააცქერდა მიწას და ღრმა საგონებელს მიეცა.

— „ნუ გააჩენ მას!—ემუდარებოდენ ანგელოზები. მოგვეცი ჩვენ ძალა, რომ ვიმრავლოთ და ავავსოთ ქვეყანა:—ნუ, ნუ ავსებ ქვეყანას ცოდვილ არსებით! ნუ აჩენ მას...—ევედრებოდა მთავარანგელოზი.—ვინ არის და რა არის ადამიანი, რომლისთვისაც სწუხხარ, რომლის მეოხებითაც უნდა დაირღვეს ყოველივე, რომელმაც უნდა შეურაცხყოს და წაბილწოს ყოველი ლამაზი ქმნილება და სიმშვენიერე, უნდა მოსცხოს ჩირქი თვით შემომქმედსაც კი... და დუმილი გამეფდა მთელ ქვეყნათ. ყოველივე მიჩუმდა, მხოლოდ გააფთრებული უფალი დასჩერებოდა მიწას და თვალებიდან ცეცხლსა ჰყრიდა...

— არა, არა—გაისმა კვლავ შემოქმედის ხმა, მე არავინ მსურს უფროსათ და არც არავისი მჯერა!—მე თვითონ ვარ უფალი მსოფლიოსი, ვსთქვი და გათავდა!. ადამიანი მაკლია, მხოლოდ ადამიანი!—თქვენ კი რათ სწუხხართ?—მე თქვენ შეგარიგებთ შვილებო—მოლბა უფალი. მე არ მივსცემ მიწას შვილს იმ ძალას, რომლითაც ის წინააღუდგეს ზეციურთ! მე არ გადავსცემ მას ისეთ სულის სიძლიერეს...

შემოქმედი ანგელოზებითურთ მთებიდან ძირს დაეშვა... და აიღო კვერთხი, და დაჰკრა მიწას... მიწა ორათ გასკდა და შუაგულიდან ამოგორდა რგვალი რამ... და სთქვა უფალმა: აი ჩნდება სიკვდილის შვილი. ყოველი მხარე: სამხრეთი და ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი თავის წიაღში მიიღებს ამ საცოდავს, ვინაიდან ეს მათ მოვპარე! მაშინ ღმერთმა მოიხმო ღრუბელი და აწვიმა მასზე, თან კვერთხით ზელდა მიწას.

და გამოჩნდა კისერი... შენ საჭიროებ საჭმელს და სასმელს, რაიც იქნება შენი უმთავრესი მიზანი ცხოვრებაში,—განმარტა უფალმა. შემოქმედი კვლავ განაგრძობდა მუშაობას და როდესაც გამოჩნდა ხელი და ფეხი, მიაძახა—„ტანჯვაში და მუშაობაში დაილევა დღენი შენი"!

შემოქმედის წინ ახალი ქმნილება იზრდებოდა. და გამოჩნდა თავი, ლამაზი და მიმზიდველი სახე... შენ იქნები შეპყრობილი პიროტყვული წადილებით და ეს უკანასკნელი იმდენათ ძლიერი იქ-

## მაკედონიის ეროვნებათა ბრძოლა თავისუფლებისათვის.

I

„ჩვენს თვალწინ ირწყობა ძველი ჯირკვალი, რომელიც იზრდებოდა ხუთი საუკუნის განმავლობაში. ბალკანეთის მცხოვრებთა უბედური მდგომარეობა მით უფრო მწვავე იყო, რომ მთავრობა მუდმივ გათურქების პოლიტიკას აწარმოებდა, რომლითაც იწვევდა ეროვნებათა სამართლიან ამბოხებას. აწინდელი ომი არის ბრძოლა განთავისუფლებისათვის გამანადგურებელ, ანარქიულ და უნაყოფო მონობისაგან. *) და, მართლაც, წარსული თურქ-ბალკანეთის ომი არის დამოუკიდებულობისათვის ბრძოლის უკანასკნელი გამარჯვების აკკორდი, ხუთასი წლის მონობის უღლის საბოლოოთ დამსხვრევა. მიუხედავათ იმისა, რომ ამ ომმა სავსებით ვერ განახორციელა სხვადასხვა ეროვნული ჯგუფის მისწრაფებანი და ვერ მოსპო უკმაყოფილების მიზეზი, მაინც მისი შედეგი ერთ შემთხვევაში ფრიად ნაყოფიერი იყო ბალკანეთის ეროვნებათათვის, რომელთაც ხუთასი წლის უცხოელთა ბარბაროსულმა ფლობელობამაც კი ვერ მოუსპო თავისუფლების წყურვილი.

ამ ნახევარი კუნძულის ეროვნებათა განთავისუფლების ისტორია ხანგრძლივი, მაგრამ ძალიან მარტივია. მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში რამდენადაც ოსმალეთი პოლიტიკურათ ქვეითდებოდა, იმდენათ მისი ბალკანეთის ქვეშევრდომნი იმედითა და ენერგიით იღჭურვებოდენ, ჰქმნიდენ სხვადასხვა ორგანიზაციას და ახდენდენ აჯანყებებს თვის დამჩაგვრელის წინააღმდეგ. ამ გამუდმებულ ბრძოლაში ისინი ხან იმარჯვებდენ, ხან მარცხდებოდენ. ოსმალეთის სისუსტით დაინტერესებული ევროპის სახელმწიფოები ერეოდენ ამ კონფლიქტებში და ხელს უწყობდენ სხვადასხვა ეროვნების განთავისუფლებასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა აღორძინებას. ბალკანეთის ყველა ერმა, გარდა სერბიელებისა და შავმთიელებისა, რომელთაც თავისი საკუთარი ძალებით მოიპოვეს თავისუფლება, ამგვარი პროცესი გაიარეს. ჯერ აჯანყება, მერე ბრძოლა და ევროპის ჩარევა, რომელიც ამა თუ იმ ფორმის დამოუკიდებლობით გვირგვინდებოდა. ამ გვარად დაიხსნეს თავი ოსმალეთის მძიმე უღლისაგან საბერძნეთმა, ბულგარეთმა აღმოსავლეთის რუმელიამ და კრიტოსმა. მაკედონიის ქრისტიანობა, ამ მრავალი მაგალითის შემდეგ, თანდათან რწმუნდებოდა, რომ გზა არჩეული მათ თანამოძმეთა მიერ, იყო ერთადერთი ჭეშმარიტი გზა ხსნისა, და ესენიც მათ კვალს უნდა გაჰყოლოდენ. უკვე **სან-სტეფანის** ხელშეკრულობამ გამოჰყო უმეტესი ნაწილი მაკედონიისა ოსმალეთის ფლობელობიდან და, მართალია, **ბერლინის** კონგრესმა რუსეთ-ოსმალეთის ომს შემდეგ (1887) ეს უარჰყო, მაგრამ დაავალა ბრწყინვალე პორტის მთავრობას ფართო რეფორმები შეეტანა თვის ბალკანეთის პროვინციებში და აქიდან დაწყებული ევროპა თვალ-ყურს ადევნებდა მცხოვრებთა მდგომარეობას. ევროპის ამგვარი ყურადღება აქეზებდა და მუშაობის უნარს ულვიძებდა მაკედონელ ქრისტიანებს. 1885 წელს სისხლის დაუღვრელად **აღმოსავლეთის რუმელია** შეუერთდა ბულგარეთს. ასეთი მოვლენა ერთი მხრით არღვევდა ბერლინის კონგრესის დადგენილებას, მაგრამ ევროპამ მაინც სცნო უკვე შესრულებული ფაქტი და ამით ერთჯერ კიდევ აჩვენა ქვეყანას, თუ **რა წარმავალი და ფიქსატია ყველა დაწერილი ხელშეკრულობა**, თუ მას კარგი **დამცველი არა ჰყავს**. ოსმალეთის პროტესტებს აღარავინ უგდებდა ყურს. ისტორიული უფლებანი, რომელთა აღსადგენათაც ამდენი სისხლი იღვრებოდა, უფრო მაღლა იდგენ, ვიდრე დაპყრობის უფლება, რომელზეც აშენდა ოტტომანთა იმპერია.

საბერძნეთმა, სერბიამ, შავმთამ და ბულგარეთმა თავი დააღწიეს მონობას, მაგრამ მათი უძრავი თანამემამულენი კვლავ ოსმალეთის საზღვრებში რჩებოდენ მოკლებულნი საკუთარი სახელმწიფოს მქონე მოქალაქის ბედნიერებას.

მაკედონიის მცხოვრებთა მოძრაობას და მათ მუდარას ევროპისადმი ჯეროვანი გასავალი არ ჰქონდა; მათი განთავისუფლების პროცესი მით უფრო გვიანდებოდა, რომ ეს პროვინცია არც მასში მცხოვრებთა ენით, არც რასიულად, არც სარწმუნოებითა და არც პოლიტიკური სიმპატიებით არ წარმოადგენს განსაზღვრულ ერთეულს. „მაკედონია" მარტო გეოგრაფიული ცნებაა, სადაც ისტორიის მსვლელობაში თავი მოუყრიათ მრავალ სხვადასხვა ტომის ერს, რომელნიც ლაპარაკობენ სხვადასხვა ენას, განირჩევიან სარწმუნოებით და ერთმანეთში არეულან. პელაზგებიდან მოკიდებული, მაკედონია სათარეშო ადგილი იყო ათასგვარი ელემენტის შემოსევისა. ბერძნებმა, რომაელებმა, სლავიანება ბულგარლებმა—ყველამ დასტოვეს აქ თავისი ნაშთები და თავისი კოლონიები, რომელნიც, მიუხედავათ ხანგრძლივი მონობისა, მაინც არ კარგავდენ თავის ისტორიულ ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებს. საბერძნეთის, სერბიის, რუმინიისა და ბულგარლების პოლიტიკურ განთავისუფლებას შემდეგ, აქ დაიწყო ამ სახელმწიფოთა ფართო პროპაგანდა. ყველა ერთმანეთს ეცილებოდა უფლებებში და ბეჯითად ლამობდენ, რაც შეიძლება, მეტი მომარენი შეეძინათ. ყველა ამათგანს ჰსურდა მარტო თვითონ გამხდარიყო მაკედონის ბატონპატრონი, ამისთვის ყველა მათგანს ჰქონდა თავისი საფუძველი.

II.

ალექსანდრე დიდისა და ფილიპე მაკედონელის დროიდან მოკიდებული მაკედონია გადაიქცა ელინიზმის ცენტრათ. მაკედონელებმა თავისი იარაღით გაავრცელეს ელინთა ცივილიზაცია მთელს აღმოსავლეთში. სხვადასხვა ბარბაროსის შემოსევამ გაანადგურა და დასცა საბერძნეთიც და მისი კულტურის პირმშო შვილი ბიზანტია, მაგრამ ელინიზმი უკვდავი რჩებოდა; როგორც იდეა იმარჯვებდა შემოსეულ მტრებზე და კეთილისმყოფელი გავლენა ჰქონდა მათ არსებობაზე. ელინიზმი ტლანქ და გამამანადგურებელი ძალა კი არ არის ივი იდეაა. *)

თუ როგორ მძლავრათ იმოქმედა ამ იდეამ თვით ბიზანტიის იმპერიის გამანადგურებელსა და მის დამპყრობ ოსმალებზე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა აქ ბერძენთა ელემენტს, ჩანს იქიდან, რომ კოსტანტინეპოლის ამღებმა **მაჰმედ მეორემ** ერთადერთ შუამდგომლათ თვისსა და დაპყრობილ ევროპის ქრისტიანთა შორის ბერძნების პატრიარქი აღიარა. ეს მსოფლიო პატრიარქი ცნობილი იყო როგორც წარმომადგენელი ევროპიელ ყველა „რაიებისა" განურჩევლათ ეროვნებისა. მთელი საუკუნეებით მეფობდა მებრძოლი ენა, განათლება და ლიტურგია მაკედონიაშია. ოსმალეთის ხალიფები მუდამ ანგარიშს უწევდენ სულიერ „ურუმთა" *) წინამძღოლის ავტორიტეტს.

ბერძენთა ასეთ ფართო გეგემონიას აუცილებლათ უკმაყოფილება უნდა გამოეწვია სხვა ეროვნებათა შორის, რომელთაც ერთის მაგიერ ორი ბატონი გაუჩნდათ—სულთანი და კოსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქი. პირველი დემოკრატიული მოძრაობის სარწმუნოებრივი დამოუკიდებლობისა მაკედონიაში ბულგარლებმა დაიწყეს. ისინი თხოულობდენ საეკლესიო ავტოკეფალიას და ბერძნების პატრიარქის დამოკიდებულებისგან გამოყოფას. რა თქმა უნდა, ბერძნები საშინლათ ეწინააღმდეგებოდენ ასეთ მოძრაობას და ყველანაირათ ცდილობდენ მოესპოთ მათი პატრიარქის წინააღმდეგ მიმართული ამბოხება, მაგრამ ამ შემთხვევაში ოსმალეთის მთავრობა მხარს უჭერდა ბულგარლებს, მისი პოლიტიკისთვის ახლა ხელსაყრელი იყო პატრიარქის გავლენის შესუსტება. მისი აზრით, სარწმუნოებრივი შუღლი და უთანხმოება დაასუსტებდა ქრისტიან ელემენტების ძალებს, გადაჰკიდებდა მათ ერთმანეთს და მოსპობდა იმ ერთობას, რომელიც საერთო პატრიარქის პიროვნებაში იხატებოდა. ჩ მართლა, ეს ასეც მოხდა. კოსტანტინეპ. პატრიარქი ჯინზე იდგა და სასტიკათ უარყოფდა ყველა უკმაყოფილო დამოუკიდებლობის სურვილს, მთავრობა მზაკვრული ხერხიანობით, ჩვეულებრი-

*) იხ. Revue positiviste internationale de Paris, 1 იანვარი 1913.

*) იხ. La Turquie et e'héllenisme contemporain, ბიკტორ ბერარდ, 1894 წ.

*) სიტყვა „ურუმი" გადამახინჯებული სიტყვაა და ნიშნავს რომაელს. თურქები ახლაც „ურუმს" უძახიან ოსმალეთის ბერძნებს.

ნება შენში, რომ მუდამ იმეფებს შენზე შენს ხანმოკლე სიცოცხლეში. და ეძებ შენ სიმხიარულეს, მაგრამ ვერ გაძღები სურვილებით!—ჩასძახა უფალმა. კიდევ უკანასკნელათ გაიქნია ხელი შემომქმედმა და ადამიანი მზათ იყო. და უნდოდა უფალს ებრძანებია ადგომა მისთვის, მაგრამ ანგელოზი შეწყნარებისა წარსდგა უფლის წინაშე და მოახსენა: მსოფლიოს მართალო მსაჯულო! ეს საწყალი ქმნილება იქნება მთელ ქვეყანაზე... შენ აძლევ მას გონებას, რითაც ის გაიგებს და იგრძნობს თავის სისაწყლეს და არარაობას მსოფლიოში... ეს კი დიდი სასჯელია მისთვის. ის მუდამ გაწვალებული იქნება და ეს რისთვის?—რისთვის უფალო, რათ გინდა ადამიანს აძაგებით შენი სახელი... რათ გჭირია უფალო ყოველივე ეს? ნუთუ შენვე გინდა დაარღვიო და დაშალო კეთილგანწყობილება შენთა ქმნილებათა... უფალო, შეიწყნარე ადამიანი!.. ის ცოდოა, ცოდო. შეხედე მის გრძნობით სავსე თვალებს... ის ხომ ყველაფერს იგრძნობს... ის ხომ ყოველივეს მიხვდება უფალო... შეხედე მის ამაყ შუბლს... ის ხომ შეიჭმუხნება და დაიღარება აუტანელ ტანჯვაში. და ყოველივე ეს რისთვის უფალო? რა დანაშაული მიუძღვის მას შენს წინაშე რა?

ის ხომ ყოვლად უცოდველია და შენ კი ცოდვილათ გინდა აქციო... უფალო, შენ ყოვლად შემძლე, ძლიერი ხარ... შენ ყველაფერი შეგიძლია... შექმენი სრული ადამიანი... მასზე ნუ დაირეკავ ხელს. მაგრამ თუ ეს წინადვე გაქვს გათვალისწინებული, შეუმსუბუქე მაინც სასჯელი... ნუ მოიძულებ მას!..

უფალი დაღონდა. ანგელოზის სიტყვებმა ერთიან აამღვრია ის.

ვიქ, ვიქ,—გაბნეულათ იმეორებდა უფალი და ფიქრებს მისცემოდა...

დიახ, მე შევსცდი, შევსცდი ღაღადებდა უფალი, მაგრამ რაც შევქმენი არ გავაქრობ!.. ეს სუსტობის ნიშანია. მე კი ყოვლადშემძლე ვარ! ყოვლადშემძლე!... მხოლოდ ერთიღა დამრჩენია, მივსცე მას სურვილი წინსვლისა იმდენი, რამდენიც მასში დავჰადე სურვილი გარყვნილებისა.

და დუმილი გამეფდა. სდუმდა მსოფლიო თავისი სტუმრებითა, სდუმდა ანგელოზთა საოცნებო გუნდი, მხოლოდ უფალი ღელავდა, მოსვენებას ვერ პოებდა. შემოქმედი უკანასკნელათ შეინძრა, თვალი მოავლო თავის ქმნილებათა და სიამოვნების ღიმილი მოერია... უცებ შეხედა ადამიანს, რომელიც მის წინ ქანდაკებასივით იდგა, თითქოს დამნაშავე სასამართლოს წინაშე სდგას და მსჯავრს მოელისო... უფალი ისევ დაღონდა, მიუახლოვდა ადამიანს, გაუღო თვალი და შიგ რგვალი რამ ჩაუდვა.

— ეს იქნება შენი ნუგეში წასჩურჩულა უფალმა.

— ეს რა არის?—განცვიფრებით იკითხა შეწყნარების ანგელოზმა.

ეს ცრემლთა წყაროა! — უპასუხა უფალმა.

როდესაც ადამიანი დაიტანჯება ცხოვრებაში და ვერ პოებს მოსვენებას, მაშინ ის ცრემლებს მიმართავს... და ცრემლები შეუმსუბუქებს მას ყოველგვარ სიმწუხარეს... ერთხელ კიდევ მიუახლოვდა უფალი ადამიანს და კოცნით გადასცა მას სიტყვა და გონება.

„იცოცხლე!"—წასჩურჩულა უფალმა და მსოფლიოს წინაშე წარსდგა ახალი ქმნილება. და შეხედა მან ქვეყანას, თვალი მოავლო ტურფათ მორთულ მთა-გორაკებს, ბუმბერაზ მთებს, ამწვანებულ მდელოს, მაღალს, ამაყათ მდგარ მცენარეთ... თვალწინ წარუდგა მთელი სიდიადე, სიმშვენიერე და სიკეკლუცე ბუნებისა და მაშინვე იგრძო არარაობა.

ქვითინით დაეცა მიწაზე, აემღვრა გული და თვალებიდან გადმოსცვივდა ორი ობოლი ცრემლი...

პირველი ცრემლები სიმწუხარისა!... და ბევრჯერ ღვრის ის ცრემლებს... და არ არის მთელს მსოფლიოში ისეთი ქმნილება, რომელსაც შეეძლოს იმდენი ცრემლის ღვრა, რამდენიც ადამიანს. ცრემლი დიდი ნუგეში და განძია ადამიანისთვის. წყარო ცრემლებისა, რომელიც მიუგნებელ ადგილსაა, მუდამ მზათაა მწუხარება შეუმსუბუქოს საბრალო ადამიანს, მაგრამ, როცა სიმწუხარე ზომას აღემატება, გული ქვავდება, თვალები შრება...

მაშინ კი ცრემლებიც ერთიან ქრება და აუტანელ მწუხარებას განიცდის ყოვლად უმწეო, ტანჯვის ბუდეში დაბადებული ადამიანი.

დ. ძიძიგური.

## წერილი კავკავიდან.

ბ. ბ. ლოლუას და კუხიანიძის თაოსნობით 15 ივნისს მოხდა დამფუძნებელი კრება „სიმღერების მოყვარულთა" ქართული საზოგადოების. კრებას დაესწრო ორმოცდაათამდი კაცი და ქალი. კრების თავჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს გიმნაზიის მასწავლებელი ტ. კახიძე. მდივნათ ქართული სკოლის გამგე ტრ. შუბლაძე. თავჯდომარემ მოკლე სიტყვაში განუმარტა საზოგადოებას მუსიკა-გალობის მნიშვნელობა და საგანი კრების განსახილველი. განსახილველი საგანი იყო წესდების პროექტი, რომელიც ბ.ბ. ლოლუამ და კუხიანიძემ თფილისის ფილარ-

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

დღიდან ჩვენი გაზეთის „იმერეთის" გამოსვლისა, ზოგიერთ ხელის მომწერს გაზეთის ფული არ გამოუგზავნია, გაზეთი კი შეუწყვეტლათ ეგზავნება, მიუხედავათ იმისა, რომ ფულის შემოტანა რამდენჯერმე გამოცხადებული გვქონდა. ახლა უკანასკნელათ ვაცნობებთ მათ ვისაც ჩვენი გაზეთი 6 მარტიდან მისდისთ თუ ძველს არ წარმოადგენენ, **გაზეთის გზავნას შევსწყვეტთ 15 ივლისიდან.**

მონიული საზოგადოებისა და ქუთაისის მომღერალთა გუნდის წესდების მიხედვით შეადგინეს. თ. ამირეჯიბმა შეიტანა წინადადება, განეხილათ არა ახალი წესდება, არამედ თფილისის ფილარმონიული საზოგადოებისა და კავკავის შესაფერად შეეცვალათ. თ. ამირეჯიბი თავის წინადადებას ასაბუთებდა იმ მოსაზრებით, რომ ახალი წესდების დამტკიცებას დიდი დრო მოუნდება და ძველი კი მალე იქნება დამტკიცებული. კრებამ მოიწონა წინადადება თ. ამირეჯიბისა და შეუდგა თფილისის ფილარმონიული საზოგადოების წესდების განხილვას, რომელიც მიიღეს რამდენიმე მუხლის შეცვლით, რომელთა შორისაც ყველაზე უფრო საყურადღებო არის გამგეობის წევრების არჩევა ერთი წლის ვადით, წინააღმდეგ სამი წლისა, როგორც თფილისის საზოგადოებაშია. ამ ცვლილების გამო გრძელი კამათი გაიმართა, მაგრამ ბოლოს მაინც ხმის უმეტესობით იქნა ცვლილება შეტანილი წესდებაში. კრებამ აირჩია საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტში შვიდი კაცი: ტ. კახიძე, მ. კალანდარაშვილი, ვლ. ლოლუა, მელ. კუხიანიძე, როინაშვილი და ტრ. შუბლაძე. კრება დაიხურა სამ საათზე.

ლანი.

# რუსეთი.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

### პუანკარე პეტერბურგში.

9 ივლისს პრეზიდენტი პუანკარე კრასნოსელსკის ლაგერში იყო. აღლუმის შემდეგ 1000 მემუსიკესაგან შემდგარმა—ორკესტრმა კონცერტი შეასრულა.

პრეზიდენტის ამალის წევრებს მეფემ უმაღლესი საჩუქრები დაურიგა.

დიდ სასახლეში პუანკარეს მეფე-დედოფალმა საუზმე გაუმართეს.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა პუანკარემ პეტერბურგის ღარიბთა და 1000 გადამწვართა სასარგებლოდ 50,000 ფრანკი გადასდვა.

### ოფიციალური განცხადება.

პეტერბურგში ქალაქის მართველობის კანცელარია აცხადებს: 8 ივლისს სამუშაოთ არ გამოვიდა საქარხნო სამრეწველოთა და სტამბების 80000 მუშა, მუშები შეეცადენ ჯგუფ-ჯგუფად შეკრებას და დემონსტრაციების მოხდენას. შეეცადენ აგრეთვე სარევოლიუციო სიმღერების მღერას, ტრამვაის ვაგონების მოძრაობის შეჩერებას. რამდენიმე ვაგონი წააქციეს და მათი ფანჯრები ჩალეწეს. დაშავებულია ბოქაულის ერთი თანაშემწე და 14 პოლიციელი. ვიბორგის მხარეს, გაფიცულებმა ქვით დაამშვეს ერთი კაზაკი. ამას შემდეგ კაზაკებმა თოფები გაისროლეს და ერთი მუშა მძიმედ დასჭრეს, რამდენიმე კი სუმბუქად. დღის განმავლობაში 52 კაცი შეიპყრეს.

### გაფიცვა

რიგაში გაიფიცენ 70 ქარხნის მუშა და 1000 კაცი ნავსადგურისა. გაფიცულთა საერთო რიცხვი 40000.

გაიფიცა 13 ათასი მუშა, მათ შორის ქარხნის „ფენიქსის" და „ელექტრონის საერთო ამხანაგობის" ქარხნების მუშები.

### მატარებლის დამსხვრევა.

ხარკოვში ქალაქიდან 3 ვერსის მანძილზე სამგზავრო მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. 4 ვაგონი დაიმსხვრა. რამდენიმე მოკლული და დაჭრილია.

### მეხისაგან ცეცხლის გაჩენა.

ჩენსტოხოვში ხანგრძლივ გვალვას შემდეგ ქალაქსა და მის მიდამოებში საღამოს ჟამს არაჩვეულებრივი ავდარი მოვიდა. მეხისაგან რამდენსამე სახლს ცეცხლი წაეკიდა. რამდენიმე ქარხანა გადაიწვა. ქალაქის სატელეფონო მავთულები და ბოძები დაანგრია.

# უცხოეთი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

### კონფერენციის გახსნა.

ლონდონში მეფემ გახსნა კონფერენცია ბუკინგემის სასახლეში და პარლამენტის წევრებს სიტყვით მიმართა; მან მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ ისინი ეწვიენ მის დაპატიჟებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩარევა ახალი საქმეა, მაგრამ იგი გამოწვეულია განსაკუთრებული მდგომარეობით. დასასრულ მეფემ იმედი გამოსთქვა, რომ თათფირი მშვიდობიანობას მიაღწევს და ხელს შეუწყობს დავის მოსპობას.

ლიბერალურ პარტიის წევრებმა ქვედა პალატაში კრების დროს გადასწყვიტეს მოსთხოვონ მთავრობას, რომ არასფრის გულისათვის არ დაუთმონ ასეთი რამ, რასაც ირლანდიის ნაციონალისტები ვერ დასთმობენ და არ დათანხმდენ პარლამენტის დათხოვნაზე, სანამ არ გაატარებენ ბილს მრავლობითი ვოტუმის შესახებ.

უნიონისტების გაზეთები ერთხმად იწონებენ მეფის სიტყვას, ლიბერალური გაზეთები კი ამ სიტყვაში ხედვენ იმას, რომ მეფეს უნიონისტების მხარე უჭირავს, კონფერენციას უნდობლობას უცხადებენ და წინადადებას აძლევენ დემოკრატებს მტკიცედ დაიცვან საკონსტიტუციო თავისუფლებანი.

### პარიზის პრესა პუანკარეს შესახებ.

პარიზის პრესა დიდის სიამოვნებით გჳობს პუანკარესა და ნიკოლოზ მეორეს შეხვედრის ამბების შესახებ. „ტანი" სწერს: „მეფე—იმპერატორმა და პრეზიდენტმა სამ-სამი სიტყვა წარმოსთქვეს, რომელიც სამ მდგომარეობას აღნუსხავს: ძალას, მშვიდობიანობასა და შეურყევლობას. დროებით შერყეული სამხედრო ძალა კავშირისა სავსებით აღდგენილია. ამ საფუძველზე დამყარებულია მშვიდობიანობა, რის სახელისათვისაც რუსეთმა და საფრანგეთმა დიდი მსხვერპლი დასდვეს.

### კაიოს პროცესი.

ჩვენება ჟოზეფ კაიოს ჩამოართვეს. იგი სცდილობს გაზეთ „ფიგაროს" ცუდად ჩვენებას; იგი ამბობს, რომ გაზეთის საფინანსო ნაწილი გერმანელების საზოგადოებას ეკუთნის. საფინანსო საქმეებში მონაწილეობის მიღების ბრალდების გამო კაიომ განაცხადა: თუ კი შესაძლო იყო, რომ მინისტრები ვექილობას ეწეოდენ, შეუძლებელია ფინანსისტ საეკრძალოს საფინანსო საქმეებში მონაწილეობა. სხდომის დასასრულს ცხარე შეტაკება მოხდა ბრალმდებლისა და დამცველს შორის, რომელმაც განაცხადა, რომ დაცვაზე უარს იტყვის თუ ბრალმდებელი არ დაამოწმებს, რომ კალმეტის სიკვდილს შემდეგ პუანკარესადმი გადაცემული დიპლომატიური საბუთები კაიოს პატრიოტიზმსა და პატიოსნებას ჩირქს არ სცხებს.

კაიო განაგრძობს ჩვენების მიცემას. იგი შეჩერდა როშეტის საქმის გამო მის ბრალდებებზე საფრანგეთ-გერმანიის ტრაქტატის საკითხში. კაიო აცხადებს, რომ ამ პროცესის გადადებას იგი აუცილებელ საჭიროდ სთვლიდა. რაც შეეხება გერმანიასთან ხელშეკრულობას, მას სურდა მაროკოს საბოლოოდ შეკავშირება საფრანგეთთან და მშვიდობიანობის დამყარება, თუ საჭირო იქნება იგი წარადგენს საბუთებს, რომელიც მის მოქმედებას ამართლებს, მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში ანგარიში უნდა გაუწიოთ შედეგებს, რომელსაც გამოიწვევს ამ საბუთების გამოქვეყნება.

ლაბორისა და ბრალმდებლის შორის გამოწვეულ შეტაკების საგანი—საიდუმლო საბუთი, გაზეთების სიტყვით, შეიცავს გერმანიის ელჩის ფონკენის გამაცნობილ შიფრიან დეპეშასა, კონგოს შესახებ კაი-

ვათ აგვიანებდა საქმის ჯეროვანათ მორიგებას და ამ ცდაში კი ეს სარწმუნოებრივ ნიადაგზე ატეხილი მოძრაობა ეროვნულ ხასიათს იღებდა, რის გამოც ისედაც არსებული ისტორიული სიძულვილი ბერძენ-ბულგართა შორის უფრო მწვავდებოდა და ძლიერდებოდა. კრიტელების აჯანყებამ 1869 წ. ხელი შეუწყო ბულგარლების მისწრაფების განხორციელებას და შემდეგ 1870 წ. მათი ეკლესია გამოეყო კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქს, გახდა დამოუკიდებელი. ამავე დროს ბულგარლების ეგზარხოსი ცნობილ იქნა სულთნის მიერ მთელი მისი სამწყსოს წარმომადგენლათ.

ასეთმა მაგალითმა წააქეზა **ვალახებიც**. რუმინიის მთავრობამ, რომელიც ყურადღებით თვალს ადევნებდა მაკედონიაში დაწყებულს ეროვნულ მოძრაობას **პინდისა და მონასტირის** ვილაეტის მიდამოებში რუმინულად მოლაპარაკე მცხოვრებნი რუმინებად აღიარა, მიუხედავათ იმისა, რომ ამათსა და რუმინელთა შორის არაფერი საერთო, გარდა ენის ნათესაობისა, არ არსებობდა. აგრეწოდებული მაკედონიის „ვალახები", არ წარმოადგენენ განსაკუთრებით ეროვნებას. ეს ერთი ჯგუფია გალათინებული მაკედონელების, რომელთა ენაც უახლოვდება ძველი დაკიის, აწინდელი რუმინიის პროვინციის ენას. ძველიდანვე ვალახები კეთილგანწყობილებაში ცხოვრობდენ ბერძნებთან და, გარდა თავის ენისა, ლაპარაკობდნენ აგრეთვე ბერძნულათაც. წირვა-ლოცვა ბერძნულ ენაზე ჰქონდათ. რუმინიზმის პროპაგანდა მარტო პოლიტიკური მიზნით იყო გამოწვეული. რუმინიის მთავრობასაც სწადდა ჰქონოდა თავისი ხვედრი გავლენა ბალკანეთის საქმეებში. ამ მიზნით იყო გამოგზავნილი აქ **აპოსტოლი მარგარიტი**, რომელმაც დაიწყო პირველათ რუმინიზმის ქადაგება, რასაც პოლიტიკური მოსაზრებებით მხარს უჭერდენ ვენისა და ბერლინის კაბინეტები. რუმინიის ხარჯზე დაარსდა მრავალი სკოლა, ვალახებმა მოიპოვეს უფლება თავის ენაზე წირვა-ლოცვისა, რასაც თან დაჰყვა საშინელი უთანხმოება ბერძნებთან. გუშინდელი მეგობრები დღეს მოსისხლე მტრებათ გადაიქცენ. ოსმალეთის მთავრობა თავისი მხრით ბევრს ცდილობდა გაეძლიერებია ჩამოვარდნილი უთანხმოება. ვალახები შეუერთდენ ბულგარლების ჩეტებს (რაზმებს) და მათთან ერთად მოქმედობდენ ბერძნების წინააღმდეგ. ისინი გახდენ საუკეთესო გზის მაჩვენებელი მთავრობის ჯარებისა მათ ბერძნების რაზმების დევნაში პინდისა და ეპირის გაუვალ კლდე-ღრეებში, მათი შიშით ბევრი ნამდვილი ბერძენი გავალახდა და ამგვარათ მათი რიცხვი მაკედონიაში ავიდა ოფიციალურათ 22.000, როდესაც ნამდვილათ კი ის არ აღემატება 5000 სულს. ასეთ პირობებში ბერძნებს არ შეეძლოთ გულხელდაკრეფილი დარჩენილიყვენ და ხელი აეღოთ იმ ადგილებზე, სადაც ოდესღაც მათი ცივილიზაცია იყო გამეფებული და რაზედაც ცოცხლად ლაღადებდა **პელის, პინდისა და ამფიპოლის** ნანგრევები. ბულგარლების, ვალახებისა და ოსმალების ძალმომრეობაზე მათ ძალმომრეობით უპასუხეს და თავის დაცვისათვის შეადგინეს მრავალი რაზმი, რომლის სათავეშიც ეპისკოპოზები, მღვდლები და იასწავლებლები იდგენ. მათი მიზანი იყო დაეცვათ ბერძენთა ელემენტი განადგურებისაგან და არ ჩაექროთ მათში ბუუტავი ელინიზმის იდეა. მათ თვალში არაფერი ღირებულობა არ ჰქონდა ბულგარლებისა და სხვების პრეტენზიებს მაკედონიაზე; ისტორიულათ ეს მხარე მათ გავლენას ქვეშ იმყოფებოდა და ასედაც უნდა დარჩენილიყო შემდეგში.

სულ სხვანაირათ მსჯელობდენ ბულგარლები. მათი აზრით, უპირატესობა მაკედონიაში ბულგარლებს ეკუთნოდათ იმავე ისტორიის მიხედვით. ცნობილია, რომ მეექვსე-მეშვიდე საუკუნეებში ბალკანეთს შემოესია სლავიანების მრავალი თემი, მათ მოყვენ გასლავიანებული მონგოლი ბულგარლები. ამათ შეჰქმნეს მძლავრი იმპერიები, რომელნიც დიდხანს ეომებოდენ ბიზანტიას და მეტოქობას უწევდენ მას. ბულგარეთის მეფე **სვიმონი** ერთ დროს ბატონობდა მთელ მაკედონიაზე და ყველა იმ მხარეზე, სადაც ახლა ბულგარლები, სერბები და ალბანელები მოსახლეობენ. „განა ვინ გაამართლებს იტალიას— ამბობდენ ბოლგარლები, რომ მან მოინდომოს საფრანგეთზე და დიდ ბრიტანიაზე გამეფება მის მიხედვით, რომ ეს ქვეყნები ერთ დროს რომაელებს ეჭირათ და აქ რომაული კულტურა იყო გავრცელებულიო". ასეთივე აბსურდი იყო მათ თვალში მაკედონიაში ბერძენთა ბატონობის სურვილი. როგორც იტალიელები არ არიან პირმშო შვილნი რომაელებისა, აგრეთვე აწინდელი ბერძნებიც შორს არიან ძველ ელინთა ნათესაობისაგან, თვით მაკედონიის სიძლიერის აღორძინების ხანაში **ფილიპე და ალექსანდრე** დიდის დროს, ელინები მაკედონელებს ბარბაროსებს და მტრებს უწოდებდენ; აწ სლავიანთა ელემენტი ბერძნებისას გაცილებით სჭარბობს მაკედონიაში, მაშ რაღა მნიშვნელობა აქვს ძველი ნანგრევების საბუთად მოტანას, მით უფრო, რომ ჩვენს დროში ძველი ნაშთები და იდეები კი არ ჰქმნიან უფლებებს, არამედ კულტურა და პოლიტიკური შემეცნებაო. მართალია, ელინიზმმა ფრიად დიდი და სასარგებლო გავლენა იქონია სლავიანურ და გასლავიანებულ ერებზე, მაგრამ მაინც ვერ მოსპო იგინი ვერც ეროვნულათ და ვერც კულტურულად, მათ შეინახეს თავისი ენები, ჩვეულებანი და ისტორიული ტრადიციები. ბულგარლების პოლიტიკურ პროპაგანდას წინ უსწრობდა საეკლესიო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, რადგანაც ამგვარი დამოუკიდებლობა შკოლების დაარსებით, დედა ენის თავისუფალი გავრცელებით და სლავიანური ლიტურგიით გზას გაუკაფავდა ეროვნული იდეის განმტკიცებას. მათ თვალ წინ ჰქონდათ თვით ბერძენთა მაგალითი, ამგვარივე იყო სომხების ეკლესიის დამოუკიდებლობა, რომელიც ასე მჭიდროთ აერთებს, ყველა სომხებს და ხელს უშლის მათ ეროვნულ გადაგვარებას, მიუხედავათ იმისა, რომ მათ დიდიხანია, რაც დაკარგეს თავისი მიწა-წყალი და ჩათესლებული არიან სხვადასხვა ერის შორის.

მსოფლიო პატრიარქის მიერ მიღებულმა უტაქტიკო ზომებმა, რომლითაც 1766 წ. მოისპო სერბის **იპეკის** საარქიეპისკოპოზო და 1767 წელს კი ბულგარლების **ოხრიდის** მიტროპოლია, უფრო გააძლიერა სარწმუნოებრივი შუღლი და ფანატიზმი. რამდენათაც ბერძნების სამღვდელოება ოსმალეთის მთავრობასთან ერთად ძლიერად სდევნიდა სლავიანური აზრის მქადაგებლებს იმდენათ ეს უკანასკნელნი, ჩაკეტილნი მონასტრებში და გაუვალ ადგილებში შეხიზნულნი თავდადებითა და გატაცებით ეწინააღმდეგებოდენ ძალმომრეობას და მათ გასანადგურებლათ მიტანილ იერიშს. ეს ასე გრძელდებოდა მანამდი, ვიდრე სულთნის მთვრობამ არ იგრძნო ასეთი მდგომარეობის სარგებლობა, თვითონვე არ დაიწყო მფარველობა სლავიანური ეკლესიებისა და მიანიჭა მათ ავტოკეფალური ორგანიზაციები.

პირველმა ბულგარელმა ეგზარხოსმა **იოსებმა** დიდი ენერგია და მუშაობის უნარი გამოაჩინა. მან აღადგინა ბერძნების მერ გაუქმებული მრავალი საეპისკოპოზო და სამიტროპოლიტო კათედრა, დააარსა მრავალი საშუალო და დაბალი სასწავლებელიდა აღადგინა ბევრი დანგრეული მონასტერი. ჯერ თუ ყველა ამას ოსმალეთის მთავრობა წყალობის თვალით შესცქეროდა, შემდეგ ბულგარეთისპოლიტიკური განთავისუფლებისა 1878 წ. მან დაუწყო ბოლგარლებს დევნა და შევიწროება. ცენზურა სასტიკათ სდევნიდა მათ მწიგნობრობას, აკრძალული იყო ისეთი სიტყვების ხმარება, როგორც: ტირანია, სამშობლო მაკედონია და სხვ., სულ უბრალო მიზეზების გამო ჰკეტავდენ სასწავლებლებს აწიოკებდენ სამღვდელოებასა და მასწავლებლებს, სასტიკათა და დაუნდობლათ ფეხ ქვეშ სთელავდენ ყოველგვარ ეროვნულ შემოქმედებას. მაგრამ ვერაფერმა რეაქციამ ვერ შესძლო ერთჯერ დაწყებული ევოლუციის შეფერხება, ბულგარლებმა თავისი შეგნებული ძალების წყალობით სძლიეს ყველა დაბრკოლება, აიტანეს ყოველგვარ უბედურება. მათ ღრმათ სწამდათ, რომ ბოლოს და ბოლოს ბულგარიზმის იდეა გაიმარჯვებდა და დიდი ბულგარეთი აღსდგებოდა, მეათე საუკუნეში არსებულ საძღვრებში.

Argo.

(შემდეგი იქნება).

სავაჭრო სახლი

ი. გოკიელის შვილების

ქუთაისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, ზომიერ ფასებში მიღებულია და იყიდება საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის ჯიბის დანები, პორტფელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ჭურჭეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.

ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.

მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვასრულებთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა პიანინობი და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანადღი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.

პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

**Тифлисская контора Акціонернаго Общества пробочной мануфактуры ВИКАНДЕРЪ и ЛАРСОНЪ**

симъ имѣетъ честь довести до свѣдѣнія почт. покупателей, что нашъ „ЛИБАВСКІЙ ЛИНОЛЕУМЪ" въ КУТАИСѢ имѣется въ продажѣ исключительно въ магазинѣ Ф. С. ФИЛИППОВА. Въ виду того, что въ газетѣ „ИМЕРЕТИ" недавно появилось объявленіе одной кутаисской фирмы, съ предложеніемъ „Либавскаго Линолеума", считаемъ своимъ долгомъ предупредить лицъ интересующихся этимъ матеріаломъ, что названіе „Либавскій Линолеумъ" принадлежитъ только производству нашихъ заводовъ и что помимо Ф. С. Филиппова въ Кутаисѣ на линолеумъ у насъ перепродавцовъ нѣтъ. Рекомендуя этотъ фабрикатъ какъ лучшую и гигиеничную настилку для половъ просимъ за смѣтами и другими справками обращаться къ названной выше фирмѣ.

დეპო ლამპეულის, ჭურჭეულობის, ავეჯეულობისა და შპალიერისა ქ. ქუთაისში.

ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვასრულებთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის" სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.

პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

ოსთან მოლაპარაკების გამო გამოგზავნილს. თითქოს ამ საბუთში ნათქვამი იყოს, რომ კამბონთან მოლაპარაკება შესწყვიტონ, რადგანაც კაიო მეტს იძლევა. გერმანიის საელჩოსთან დაახლოებული წრეები კატეგორიულად უარყოფენ ამას. კრების დასაწყისში ბრალმდებელმა განაცხადა, მას დავალებული აქვს განმარტოს, რომ პუანკარესადმი გადაცემული ქაღალდები წარმოადგენს ნამდვილად არ არსებულ საბუთების ასლებს, ამის გამო მათზე დამყარება შეუძლებელია კაიოს პატრიოტიზმსა და პატიოსნებაზე ლაპარაკის დროს. შემდეგ ცხარე შეტაკება მოხდა კაიოსა და გაზეთ ფიგაროს გამგეობის თავჯდომარის პრესტის შორის, კაიოს გუშინდელი განცხადების გამო.

წყალდიდობა.

სოფიაში იამბოლსა, ლომაში და ესკიჯიმაიში დიდი წყალდიდობაა. ჯერჯერობით ასი დამხრჩვალი გვამის იპოვეს.

## კიდევ რასპუტინის შესახებ.

გაზეთი „უტრო იუგა"-ში ილიოდორე ეხება საკითხს, თუ რამ აიძულა ქიონია გუსევა, რომ „გრიშკა"-ს მოკვლა განიზრახა, — და თანაც დასძენს: „საჭიროა ვიცოდეთ თვითონ გრიშკა, მისი ჩემს მიმდევრებისადმი დამოკიდებულება ცარიცინში და ის სულიერი განწყობილება უკანასკნელთა გრიშკასადმი, რომელიც ამ დამოკიდებულებაზე აღმოცენდა". შემდეგ ილიოდორე რასპუტინის მოკვლის განზრახვას ხსნის „წმიდა შურისძიებით"...

„მახსოვს ასეთი შემთხვევა — ამბობს ილიოდორე: „გრიშკას თავის მოვალეობათ მიაჩნდა დედათა სქესის ამბორი, როდესაც იგი ინახულებდა ხოლმე სახლებს ცარიცინში... მოხუცი ქალების კოცნა კი არ უყვარდა. მე თვითონ ვიყავ მოწმე, თუ მან, რასპუტინმა, როგორ ჰკრა ხელი ერთს ბებერ ქალს, როცა უკანასკნელი მისკენ საკოცნელად მიიწევდა. ხელი ჰკრა და უთხრა: „მომშორდი! მე არ მიყვარს დედაბრების კოცნა"-ო. ახალგაზრდა ქალწულებს კი იგი დიდის სიამოვნებით კოცნიდა ხოლმე. ამ ნიადაგზე პირველ დღეებშივე — გავიცანი თუ არა გრიშკა — ჩემსა და მას შორის — დასძენს ილიოდორე — კინაღამ „სკანდალი" მოხდა...

ილიოდორე მოგვითხრობს, რომ როცა იგი და რასპუტინი საშობაო „ვიზიტებზე" დადიოდენ ნაცნობებში, — ლოცვის შესრულების შემდეგ, ილიოდორე რომ გამოვიდოდა, — რასპუტინი თურმე რჩებოდა ხოლმე „საკოცნელად". კოცნას კი ისე ასრულებდა, როგორც ღვდელმოქმედებასო...

ხალხს არ უყვარდა გრიშკას კოცნა...

ერთი ქალი იმ ზომამდისაც კი განრისხებულა გრიშკას კოცნით, რომ უკანასკნელისათვის სილაც კი გაუწნავს...

მე კი — ამბობს ილიოდორე — სირცხვილისაგან არ ვიცოდი სად გავქცეულიყავიო...

„საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ, როცა გრიშკა მესტუმრებოდა ხოლმე მონასტერში, ღამის გასათევად იგი ჩემთან არ ჩერდებოდა: იგი გარბოდა ლამაზ ქალებთან... და, როდესაც ჩემმა მიმდევრებმა გაიგეს გრიშკას საქციელი პეტერბურგში (16 დეკ. 1911 წ.) — ისინი აღელდენ მისი გარყვნილებით და გადაწყვიტეს — შური ეძიათ ამ ყაჩაღ, გარყვნილ და მატყუარა გრიშკაზე. მეტი აღელვება კი „ლამაზებში" ეტყობოდა ქიონია გუსევას. ამ უკანასკნელმა 1913 წ. შეადგინა ჩემს ბინაზე კომპანია, ხუთი პირისაგან შემდგარი, რომლებმაც განიზრახეს გრიშკას დასაჭურისება, რომ მას აღარ შესძლებოდა „ეშმაკეულობის განდევნა" ახალგაზრდა ქალთაგან. გრიშკას ეს ამბავი აცნობა გამცემმა სინცოვმა, და საქმე ჩაიშალა. მაშინ ქიონიამ გადასწყვიტა: „მე მარტო ვიძიებ შურს გრიშკაზე მის მიერ სიმართლის შეურაცხყოფისათვის"-ო.

„და, რადგანაც გრიშკას სიწამხდრეს არავინ არ სჯიდა, არც საერო და არც სასულიერო მთავრობა, თვით განიზრახა მისი მოკვლა, მაგრამ... მიზანს ვერ მიაღწია: გრიშკა მგონია უკეთ ხდება"...

„მაგრამ — დასძენს ილიოდორე — იმას მაინც მოკლავენ. ქიონია გუსევა ერთი არაა: ისინი ბევრნი არიან... მე კი გრიშკასადმი მიმართულ შეთქმულობაში მონაწილეობა არ მიმიღია... და თუ წინააღმდეგი არავარ მისი მოკვლის — ეს იმიტომ, რომ მსურს, ხალხმა, რომელიც მე მომყვებოდა და თანამიგრძნობდა, ხოლო დღეს კი... ჩამომშორდა, როგორც შეურაცხყოფილი გრიშკასა და მისი მფარველობისაგან, — აი ამ ხალხმა ჰპოვოს რაოდენიმე მაინც სულიერი დაკმაყოფილება რასპუტინის სიკვდილში"-ო.

## ზუგდიდის წიგნსაცავ-სამკითხველო.

1908 წელს დაბა ზუგდიდში დაუარსებიათ წიგნსაცავ-სამკითხველო მგოსან აკაკის სახელობაზე. სამკითხველოს შენობა აგურისგან არის აშენებული ზუგდიდის სასეირნო ბაღში შუაგულბაზარში. გარედან სამკითხველოს შენობა ლამაზი შეხედულების არის. სამკითხველო ოთახში ჩამოკიდებულია მხოლოდ აკაკის სურათი, ხატი და ზინგერის კამპანიის გამოცემული კალენდარი, კარები და მინის ჩარჩოები შეღებილი არ არის; თვით მინები დაუწმენდელია. შესავალ კარებზე და კედელზე გარედან აფიშებს და განცხადებებს აკრავენ, რის გამოც პირველ შეხედვაზე კაცს რაღაც ბალაგანის შენობა ეგონება. ყველა ზემოხსენებული ნაკლულევანებანი სამკითხველოს მნახველზე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს. სამკითხველოს გამგე და მზრუნველი კომიტეტი ყოველივე ამას ყურადღებას არ აქცევენ. ყველა ზემოხსენებული ნაკლი სამკითხველოსი ადვილი ასაშორებელია, თუ კი მზრუნველი კომიტეტი და გამგე უფრო ყურადღებით მოეპყრობიან თავის საქმეს და მით უფრო, რომ ზუგდიდში როგორც ვაჭრები, ისე მცხოვრებლები შეძლებული არიან, საკვირველია, რომ ერთადერთი სამკითხველო ზუგდიდში რიგზე ვერ მოაწყონ. რა ეთქმის მაშინ სოფელს?!

აგრეთვე არ შემიძლია არ შევნიშნო და არ მივაქციო ქ-ონ გამგისა და კომიტეტის ყურადღება შემდეგ გარემოებას: სამკითხველოს კედელთან დასაჯდომი სკამი დგას. დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 10 საათამდი იმ სკამთან უსაქმური პირნი მოიყრიან ხოლმე თავს და ხმამაღლა ლაპარაკობენ, რითაც მყუდროებას არღვევენ და მკითხველს ხელს უშლიან.

მგზავრი.

## დაბა-სოფელი.

ს. ზეკარი მშვენიერი და ლამაზი სოფელია; დაბა ბაღდათიდან დაშორებულია 18 ვერსით და მდებარეობს მაღლობ ადგილზე. სოფელი გაიყოფება ორათ: ქვემო ზეკარი და ზემო ზეკარი, სადაც 50 კომლამდი მცხოვრებია- ამ სოფელში არც სამკითხველოა და არც სკოლა.

სკოლა არის სოფ. კაკას-ხიდში, რომლითაც სარგებლობენ ზეკარლები. იგი დაშორებულია 2—3 ვერსით. მიმოსვლა სკოლაში ბავშვებისათვის მეტათ საძნელოა განსაკუთრებით ზამთარში, რადგანაც ზეკარი, როგორც ზევით მოგახსენეთ, ძლიერ მაღლობზეა გაშენებული და კაკას-ხიდი კი მთის ძირში. საჭიროა, ვიდრე სწავლის ვადა მოვიდოდეს, ზეკარის გლეხობამ მოილაპარაკოს, მიმართოს, სადაც ჯერ არს, რომ მომავალ ენკენისთვიდან გახსნან სოფელში სკოლა ერთ განყოფილებიანი მაინც.

თუ ამას ვერ მოახერხებენ ზეკარლები, იმ შემთხვევაში გზა ზეკარიდან კაკას ხიდამდი მაინც გააკეთონ, რომ ბავშვებსა და დიდებსაც მიმოსვლა გაუადვილდეს.

სოფელ ზეკარში სამკურნალო აბანოა, ხალხიც ბლომათ ეტანება, მაგრამ უგზოობა ძლიერ უშლის ხელს.

ზეკარსა და ახლო-მახლო სოფლებში მოიპოვება აგრეთვე ძველი ნაშთები. როცა ასეთ ძველ ნაშთებს პოულობენ ადგილობრივი მკვიდრნი ახალციხეში გადააქვთ გასაყიდათ. ძლიერ კარგს იზამს ისტ. ეთნოგრაფიული საზოგადოება, რომ ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას და ადგილობრივი მღვდლისა და მასწავლებლის დახმარებით ასეთ ნივთებს მოაგროვებდეს.

ზეზელა.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.

ახალი უვნებელი საშუალება

რძე პირისახისათვის „ბეტტი"

ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.

არბილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმჭამლებს, გადაყავს ნამზეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ურჩევ აგრეთვე მამაკაცებს ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე, მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. ტფილისში ლიბის აფთიაქი **ს. ს. ნადარეიშვილი. განყოფილება ქ. ქუთაისში აფთიაქის საწყობი ლ. კოკოჩევი და პ. შავერზოვი. ფასი ერთი მანეთი. აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სკიდკა.**

სპეციალური წიგნის მაღაზია

კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.

(ქუთაისში.)

აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და სალავათიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საკაზმავ სახელოსნოში.

ამის გამო მას, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად სალავათიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: შკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ ივინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს.

მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყოველგვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

ნ. ს. ტერკის მაღაზია

ქუთაისში

ველოსიპედები



ყველაზე იაფად.

შინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე

ყველაზე იაფად

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.



ქ. ქუთაისში. (საკ. ტაძართან).

ა. თაბაგარის მაღაზიაში.

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანები, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.

ფასები ძლიერ დაკლებულია.

ვყიდით ნისიათაც, თვიური შემოტანით.

## რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისს: | ფოშტის დილის | 11 საათ. | 55 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო დილის | 10 საათ | 10 წ. |
| | სახალხო ღამით | 1 საათ. | 7 წ. |
| ბათომს: | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. |
| | სახალხო დილის | 4 საათ. | 27 წ. |
| ფოთს: | სახალხო საღამოს | 4 საათ. | 14 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო დილით | 4 საათ. | 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. |
| შორაპანს: | სააგარაკო საღამოს | 5 საათ. | 00 წ. |
| ტყიბულს: | სახალხო დილის | 6 საათ. | 20 წ. |
| | სახალხო საღამოს | 4 საათ. | 20 წ. |

ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან: | ფოშტის საღამ. | 6 საათ. | 57 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| | სახალ. საღამოს | 9 საათ. | 44 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. | 50 წ. |
| ბათომიდან: | ფოშტის დღით | 1 საათ. | 25 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| | სახალხო დღით | 11 საათ. | 22 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 23 წ. |
| ფოთიდან: | სახალხო დილით | 10 საათ. | 3 წ. |
| | ფოშტის დღით | 1 საათ. | 25 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 23 წ. |
| | სახალხო ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| შორაპნიდან: | სააგარაკო დილ. | 9 საათ. | 18 წ. |
| ტყიბულიდან: | სახალხო საღამოს | 7 საათ. | 39 წ. |
| | სახალხო დილით | 9 საათ. | 38 წ. |

სტამბა „ძმობა", პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის.